„112"-ის ფურცლები...

№5

ივნისი
2014

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი,

სალომე გელუტაშვილი, დავით ჭანტურია, თეო გაგოშიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

ცრუ ზარები და გამჟაცრებული სანქციები 83.4-5

სასწრაფოს ექიმი 83.6-7

მალაიზიაში ცრუ ზარებმა საგანგაშო ნიშნულს მიაღწია 83.8-9

მანჭეტენზე საგანგებო ყუთები მწყობრიდან გამოვიდა 83.9

შსს სსიჰ „112"-ის საიმიჯო პროდუქციის განახლება 83.10-11

სხვა ჯუთხით დანახული 112-ელები 83.12

თავისუფალ დროს... 83.13

„Christmas Friend" 112-ში 83.14

83.15 ეს საინტერესოა...

83.16 აშშ-ში მოქმედი აბსურდული კანონები

83.17 როგორ გავხდეთ ბედნიერები სწრაფად და მარტივად

83.18 სტატისტიკა, მილოცვები

83.19 ფოტოკონკურსი

ცრუ ზარები და გამჯაცრებული სანქციები

„112"-ზე ზარის არამიზნობრივად განხორციელებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობა და ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა კანონით განისაზღვრა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განისაზღვრა დასჯის ზომები და სასჯელი გამკაცრდა იმ პირთა მიმართ, ვინც გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერ „112"-ს არამიზნობრივად გამოიყენებს ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების განხორციელების მიზნით.

მშობლის ან მისი შემცვლელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება შემდეგი კანონდარღვევების შემთხვევაში:

1. 14 წლამდე არასრულწლოვნის მიერ „112"-ზე ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით. 1 წლის განმავლობაში აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 2500 ლარით.

2. 16 წლამდე მოზარდის მიერ „112" -ზე არამიზნობრივი და ცრუ ზარის განხორციელება გამოიწვევს მშობლის ან მისი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 100-დან 300 ლარამდე ოდენობის თანხით. აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით.

უშუალოდ ზარის ინიციატორის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება შემდეგი კანონდარღვევების შემთხვევაში:

1. 14 წლის ზევით მოზარდის მიერ „112"-ზე ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების

განხორციელება ისჯება გამოსასწორებელი სამუშაო ვადით 1-დან 2 წლამდე ან 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, გარემოებათა გათვალისწინებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5- დან 7 წლამდე.

2. 16 წლის ზევით პიროვნება „112"-ზე არამიზნობრივი ზარის სისტემატურად განხორციელებისათვის დაისჯება 300 ლარის ოდენობით. 1 წლის განმავლობაში აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩამდენი პირი დაჯარიმდება 400 ლარის ოდენობით.

ასევე, 16 წლის ზევით პიროვნება ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაში დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით. 1 წლის განმავლობაში აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩამდენი პირი დაჯარიმდება 1000 ლარით ან დაისჯება 15 დღეღამემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობით.

აღსანიშნავია, რომ ცრუ შეტყობინების მიწოდების შემთხვევაში მოქალაქეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ „112"-ზე შეტყობინების განხორციელების მიზეზი მის მიერ გარემოებათა არასწორი, სუბიექტური შეფასებაა, როდესაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, პირმა შეიძლება ივარაუდოს გადაუდებელი დახმარების აუცილებლობა.

სასწრაფოს ექიმი

„ვინ მინდა გავხდე მე? - მე მინდა გავხდე ექიმი, სასწრაფოს ექიმი, იმიტომ რომ მინდა ყველა კარგად იყოს და არც ერთი ადამიანი არ იყოს ავად. არც ქალი, არც კაცი, არც ბავშვი და არც მოხუცი. მე მიყვარს ეს პროფესია და ვარ დაინტერესებული.“ - ნინო მაჭავარიანმა ეს წერილი 1969 წლის 1 აპრილს დაწერა, მაშინ ის მესამე კლასის მოსწავლე იყო, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ნინომ თავისი ოცნება აიხდინა. 2006 წლიდან ის სასწრაფოს ექიმია და ფიქრობს, ეს პროფესია ყველა პროფესიისგან განსხვავებულია.

-„ჩვენი პროფესია, ყველა პროფესიისგან გამორჩეულია, იმით რომ, პირველ რიგში ადამიანი სასოწარკვეთილებაში ჩვენ გვხვდება, ჩვენ მათთვის პირველი იმედი ვართ.“

- ყოველდღიურად რა სირთულეები იჩენს თავს?

- ყოველდღიურად გვიწევს სირთულეების გადალახვა, როგორც გამოძახებებზე, ასევე გზებზე, ქალაქში არის საცობები და მძღოლებიც არ გვითმობენ გზას, ალბათ ოდესმე მიხვდებიან, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა უნდა გაატარონ და არ შეაფერხონ.

- რა საჭიროებები აქვთ დღეს სასწრაფოს ექიმებს?

- ჩვენ ახალი და კომფორტული მანქანები გვყავს, უახლესი დეფიბრილატორებითა და კარდიოგრაფით აღჭურვილი. ამ ეტაპზე, ყველაფერი გვაქვს, რაც პირველადი დახმარებისთვისაა საჭირო.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებს ყოველდღიურად ბევრი გამოძახება აქვთ, სასწრაფოს ექიმებსაც გასახსენებელი და განსაკუთრებული შემთხვევები ბევრი აქვთ. ქალბატონმა ნინომ რამდენიმე მორიგეობის წინ მომხდარი ამბავი გაიხსენა:

- რაციაში ჩაგვძახეს, რომ მუხიანში, აგურისა და ბლოკის ქარხანაში, სიმაღლიდან ვარდნა არისო, სამ წუთში ადგილზე ვიყავით, 24 წლის ბიჭი ცემენტისა და ქვიშის ჩართულ ქვაბში ჩავარდა, ბიჭი ამოვიყვანეთ, დამეხმარა უმცროსი ექიმი და მძღოლი, შევახვიეთ, დავამუშავეთ, ის შოკურ მდგომარეობაში გახლდათ, მაგრამ გონებაზე იყო და მეკითხებოდა: -„ექიმო, მე ხომ კარგად ვიქნები, ხომ გადავრჩები?"; მე ყველანაირად ვამშვიდებდი, ის კი იმეორებდა: -„დალოცვილი იყავი ექიმო". მე რად მინდა სხვა მადლობა, ან ჯილდო, ან დაფასება, როცა პაციენტი, რომელიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია გლოცავს, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი სტიმულია. დღეს ეს ბიჭი ცოცხალია. 21 წუთში ჩვენ მოვახერხეთ მისი გადარჩენა. ჩემთვის სწორედ ეს არის სასწრაფოს ექიმობა!

მოქალაქეებს მივმართავთ ძალიან დიდი თხოვნით, რომ დაგვითმონ გზა... ნუ გამოგვიძახებთ არამიზნობრივად, ამ დროს შეიძლება სხვისი სიცოცხლისთვის თითოეული წამი გადამწყვეტი იყოს.

აღსანიშნავი და საინტერესოა ფაქტი, რომ ქალბატონი ნინო მაჭავარიანი პოეტია. 2011 წელს უწმინდესის დაფინანსებით გამოსცა საკუთარი კრებული - „წაშლილი ნაფეხურები". მისი ლექსები 100 რჩეული პოეტის კრებულშია შესული.

მალაიზიაში ცრუ ზარებმა საგანგაშო ნიშნულს მიაღწია

მალაიზიის დედაქალაქ, კუალა ლუმპურის საგანგებო სიტუაციების სამსახურში, ყოველთვიურად 2,8 მილიონი ზარი შედის. სამწუხაროდ, შემოსული ზარების 99% ცრუ განგაშია.

ადგილობრივი მთავრობის მინისტრის, დატუქ აბდულ რაჰმან დაჰლანის განცხადებით, 999-ზე შემოსულ ცრუ ზარებს ე.წ. „მდუმარე“ ინიციატორები ან ცელქი ბავშვები ახორციელებენ. მალაიზიის საგანგებო რეაგირების სამსახურში (MERS 999), გეგმიური ვიზიტისას, მან მედიის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ასეთი უპასუხისმგებლო ქმედების შედეგად იმ პირებს, რომლებსაც ნამდვილად ესაჭიროებათ დახმარება წუთობით უწევთ ოპერატორების ლოდინი.

MERS 999-ის ოპერატიულ ცენტრში ყველაზე ხშირად ზარები დილის ცხრა საათიდან დღის ორ საათამდე შემოდის. დროის ამ შუალედში ზარები შემოდის ყოველ ათ წამში ერთხელ. ცენტრს გააჩნია სამი ფილიალი, ქვეყნის დედაქალაქში, კუჩინგასა და მელეკაში. ცრუ ზარების უმეტესობა დედაქალაქის ფილიალში შემოდის.

მინისტრმა კომუნიკაციისა და მულტიმედიის კომისიას მოუწოდა, განახორციელოს შესაბამისი ზომები ცრუ ზარების ინიციატორების მიმართ, რათა შესაძლო იყოს მათი დასჯა. მისი აზრით, სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ცრუ ზარის რამდენიმე ინიციატორი, რათა სხვებმა დასჯის შიშით თავი შეიკავონ მომავალში საგანგებო ნომერზე ტყუილად დარეკვისაგან.

1998 წლის კომუნიკაციებისა და მულტიმედიის აქტის შესაბამისად, ცრუ ზარის ამკრეფი შეიძლება დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ან ჯარიმით 50 000 მალაზიური რინგითის (15 176 აშშ დოლარი) ოდენობით.

აბდულ რაჰმანმა ყურადღება გაამახვილა MERS 999-ის სოციალური მედიის კუთხით

გააქტიურებაზე, რათა საზოგადოებამ დაინახოს, თუ რა პირობებში უწევს სამსახურს მუშაობა. მსგავსი ღონისძიებების შედეგად, მოსახლეობას პასუხისმგელობის გრძნობა საგანგებო სამსახურების გამოძახების მიმართ აუმაღლდება.

მანჰეტენზე საგანგებო ყუთები მწყობრიდან გამოვიდა

ნიუ-იორკის სახანძრო დეპარტამენტმა (FDNY), სამშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე, განაცხადა, რომ მანჰეტენზე განთავსებული საგანგებო ყუთები მწყობრიდან გამოვიდა.

ამ საკითხზე პასუხისმგებლობა წამყვან ამერიკულ საკომუნიკაციო კომპანია ვორიზონს (Verizon) ეკისრება, რომელიც საგანგებო ყუთების ინფრასტრუქტურის პრობლემების მოგვარების საკითხზე მუშაობს.

ქალაქის ადმინისტრაციის განცხადებით, საგანგებო სამსახურებს კომუნიკაციის პრობლემა არ გააჩნიათ და 911-ის აკრეფვით შესაძლებელია მათთან დაკავშირება.

საგანგებო ყუთებს სულ უფრო ნაკლები მომხმარებელი ყავს (შემოსული შეტყობინებების მხოლოდ 2%). ამიტომ ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგი გამოვიდა ინიციატივით, რათა საგანგებო ყუთები საერთოდ გაუქმებულიყო, მაგრამ ფედერალური სასამართლოს 2011 წლის ივნისის გადაწყვეტილებით საგანგებო ყუთები არ გაუქმდება, რადგან მათ უნარშეზღუდული პირები იყენებენ.

შსს სსიპ „112"-ის საიმიჯო პროდუქციის განახლება

„112"-ის ლოგოს ცვლილების მიზანია, ასახოს სამსახურის მუშაობის სპეციფიკა. ლოგო გახდა მოსახლეობისათვის მარტივად აღსაქმელი და დასამახსოვრებელი, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ცნობადობის გაზრდას. ჩვენი მიზანია, ლოგოს დანახვამ მომხმარებელში გააჩინოს ასოციაცია, რომ ეს არის ნომერი, სადაც ვრეკავათ, როდესაც გვჭირდება საპატრულო პოლიციის, სახანძრო-სამაშველო სამსახურის თუ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

სიმბოლიკის განახლებიდან გამომდინარე „112"-ის დროშაზე შეიცვალა გერბი.

ლოგოს რებრენდინგიდან გამომდინარე, დამზადდა და დამონტაჟდა გარე პილონის ახალი ვარიანტი, რომელზეც თვალსაჩინოდ არის გამოსახული, თუ რომელ სამსახურებს აერთიანებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი.

დამზადდა შიდა და გარე პერიმეტრის დროშები ახალი ვიზუალით.

მაია ჯეიშვილი

შსს სსიპ „112“-ის დისპეტჩერ-ოპერატორი

მაია ჭეიშვილმა 18 წლის ასაკში, აბასთუმნის მონასტერში ისწავლა თაფლისგან სანთლის დამზადება.

მაიკო კრეატიული ფორმის სანთლებს სხვადასხვა ფორმის ჩუქურთმებით აფორმებს. დღეს ეს მისი საყვარელი საქმიანობაა და რაოდენ დაკავებულიც არ უნდა იყოს, ამისთვის დროს ყოველთვის პოულობს. პირველ ეტაპზე სანთლებს საჩუქრად მეგობრებსა დაახლობლებს უკეთებდა, დღეს უკვე შეკვეთებსაც იღებს და მისი ხელნაკეთი სანთლებით წყვილები ჯვრისწერის საიდუმლოს ეზიარებიან.

„112“-ის ეს ოპერატორი სხვა მრავალმხრივი ნივთების დამზადებითაც არის გატაცებული, ის არაჩვეულებრივად ასრულებს ქვასა და ხეზე ნაკვეთ ნივთებს. დასაფასებელია მისი ქარგვის ნიჭიც.

112

112

112

„Christmas Friend" 112-ში

„112"-ის თანამშრომლებმა შობის წინა დღეს ერთმანეთს სიმბოლური და სახალისო საჩუქრები გადასცეს.

„იდუმალი სანტას" იდეა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს და მისი ტრადიციად ქცევა ამერიკელი ფილანტროპის, ლარი დენ სტიუარტის დამსახურებაა. ლარი დენ სტიუარტს ხალხმა „იდუმალი სანტა" უწოდა, რადგან წლების განმავლობაში ის ისე ეხმარებოდა ადამიანებს, რომ მისი ვინაობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. „ეს იყო საკუთარი თავისთვის გაკეთებული საშობაო საჩუქარი" - როგორც მერე თვითონ ამბობდა.

დროთა განმავლობაში „იდუმალმა სანტამ" მნიშვნელობა შეიცვალა და დღეს ადამიანები ერთმანეთს საშობაოდ სიმბოლურ საჩუქრებს უკეთებენ ისე, რომ ერთმანეთის ვინაობას საიდუმლოდ ტოვებენ, სანამ, უშუალოდ საჩუქრის გადაცემის დრო არ დადგება.

საგანგებო ნომერი 999, პირველად, 1937 წლის 30 ივნისს ლონდონში გაიხსნა და ის მსოფლიოში უძველესად მიიჩნევა. სისტემა შემოიღეს მას შემდეგ, რაც 1935 წლის 10 ნოემბერს, უმპოლ სთრითზე, ხანძრის შედეგად ხუთი ქალბატონი გარდაიცვალა, მეზობელი კი ამაოდ ცდილობდა სახაძრო სამსახურთან დაკავშირებას.

მიიჩნევა რომ, პირველი გადაუდებელი დახმარება, დაზარალებულს აღმოუჩინა კეთილმა სამარიტანელმა (ლუკას სახარება 10:34). მან დაუმუშავა დაზარალებულს ჭრილობები ზეთითა და ღვინით, შეუხვია, დააწვინა ვირზე და მიიყვანა ფუნდუკში.

ავსტრალიის დედაქალაქ კანბერაში, 2004 წელს, საგანგებო სამსახურებში მომუშავე თანამშრომლების, რომლებიც წლების მანძილზე მოქალაქეების უსაფრთხოებას ემსახურებოდნენ, მემორიალი გაიხსნა.

აშშ-ში მოქმედი აბსურდული კანონები

ფორტ-მედისონში (აიოვას შტატი) მეხანძრეებმა 15 წუთი უნდა გაივარჯიშონ ხანძრის ჩასაქრობად წასვლამდე.

სენტ-ლუისში მეხანძრეებს ეკრძალებათ გაშიშვლებული ან ღამის პერანგში გამოწყობილი ქალების დახმარება.

კენტუკის შტატში ქალს ეკრძალება საცურაო კოსტიუმით გამოსვლა გზაზე, თუკი მას არ მოაცილებს ორი პოლიციელი ან ხელში არ უჭირავს ნიჩაბი. გამონაკლისები არიან 40 კილოგრამზე ნაკლები და 90 კილოგრამზე მეტი წონის ქალები.

ჩიკაგოში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება საჭმლის ჭამა სახლში, რომელიც იწვის.

ქალაქ ევანსტონში (ილინოისის შტატი) ხანძარი არის ერთადერთი შემთხვევა, რომლის დროსაც დასაშვებია ავტომობილში ტანსაცმლის გამოცვლა, სხვა შემთხვევაში ეს იკრძალება.

როგორ გავხდეთ ბედნიერები სწრაფად და მარტივად?

ბედნიერება - სულიერი და ემოციური მდგომარეობა, რომელიც სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს ადამიანში.

ჩვენ სულ მცირე ცვლილებებით შეგვიძლია ჩვენი მდგომარეობა უკეთესობისკენ შევცვალოთ. რამდენიმე მარტივ წესს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი ცხოვრება მარტივად და სწრაფად ბედნიერი გახდება.

წესი პირველი: პირველ რიგში, უნდა ვეცადოთ და ადრე დავიძინოთ. კარგად გამოძინება დადებითად მოქმედებს ჩვენს ნერვულ სისტემასა და მეხსიერებაზე. კარგი ძილი პოზიტიური დღის საწინდარია.

წესი მეორე: სუფთა ჰაერი! ყოველდღე ნახევარი საათით სუფთა ჰაერზე სეირნობა აუცილებელი და სასარგებლოა.

წესი მესამე: მანძილი სახლიდან სამსახურამდე. თუ სამსახური სახლთან ახლოს არის, მაშინ ნამდვილად გაგიმართლათ. გრძელი გზა სტრესთან ასოცირდება. ვეცადოთ მანძილი სახლიდან სამსახურამდე გავიხალისოთ ან თუ შესაძლებელია შევამციროთ.

წესი მეოთხე და მეხუთე: ურთიერთობა კოლეგებთან, ხშირად გავიღიმთთ და დავეხმაროთ მათ.

წესი მეექვსე და მეშვიდე: მადლიერების გრძნობა, ამ გრძნობით დავძლევთ და თავიდან ავირიდებთ დეპრესიას. სამსახურიდან შინ მიმავალ გზაზე ვიფიქროთ, თუ რა კარგია სამსახური, დავგეგმოთ შემდეგი შვებულება და ა.შ

წესი მერვე: აუცილებელია მოძრაობა. დავკავდეთ სპორტის სხვადასხვა სახეობით.

წესი მეცხრე: ოჯახსა და მეგობრებს დიდი დრო დავუთმოთ.

წესი მეათე: მედიტაცია და რელაქსაცია საუკეთესო საშუალებაა სტრესის შესამცირებლად.

რა ტიპის ზარებმა იმატა 112-ში ახალი წლის დღეებში
(31.12.2013-დან 15.01.2014-მდე)





ლელა ბიაშვილი

შსს სსიპ „112“-ის ზარის მიმღები

შსს სსიპ - 112

ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკროორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

ვებ-გვერდი WWW.112.GE
ელ-ფოსტა 112NEWS@112.GE